№781 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა (პროგრამული კოდი: 38 06 01), საკუთარი დაფინანსების ფარგლებში, 2015 წელს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს გარემოსა და წყლის რესურსების მართვის ექსპერტის, ფრენკ შრედერის მომსახურების შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**